

# ელექტრონული მმართველობის როლი რეგიონების განვითარებაში

რატი აბულაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო  
ზოია კაკულაშვილი  
საქართველოს უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლა, თბილისი, საქართველო

ანოტაცია: საქართველო მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების წინაშეა. დაბალი ზრდის ტენდენციას აჩვენებს რეგიონების ეკონომიკური განვითარება, ტექნოლოგიური პროგრესი, ციფრული უთანასწორობის შემცირება, ელექტრონული მართვის გარემოს განვითარება. უკანასკნელ ათწლეულში, განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება რეგიონულ დონეზე ელექტრონული მმართველობის როლის კვლევის საკითხზე. მართვის ყველა დონეზე, ელექტრონული მმართველობის საბაზისო პროცესი და განვითარების ტენდენცია განხილულია რეგიონული პოტენციალის ათვისების ფონზე. სტატიაში განხილულია ელექტრონული მთავრობისა და ელექტრონული ბიზნესის როლი რეგიონის განვითარებაში. კვლევის საფუძველზე ნაჩვენებია ელექტრონული მმართველობის რეგიონული პოტენციალი, ეკონომიკური მასშტაბები და შესაძლებლობები.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონული მართვა, რეგიონული განვითარება, ელექტრონული მთავრობა

## I. რეგიონული ხელისუფლება და ელექტრონული მმართველობა

რეგიონული მთავრობა ასრულებს მრავალ საზოგადოებრივ ამოცანას, წარმოადგენს მოქალაქეებთან ყველაზე „ახლოს მდგომ“ სამთავრობო ინსტიტუტს, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მომსახურებას და საზოგადოებაზე ფოკუსირებით ახდენს თავის მნიშვნელობის რეალიზებას. რეგიონული ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ელექტრონული ადმინისტრირების,

საზოგადოების ჩართულობის, ელექტრონული დემოკრატიისა და ელექტრონული მმართველობის განვითარებაში.

რეგიონისთვის, ელექტრონული მართვის სისტემა წარმოადგენს ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის მიდგომას, სოციალური გამოწვევების დაძლევის გზას, ეკონომიკური სტიმულირებისა და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის წინაპირობას, სახელმწიფოს მართვის ქმედუნარიან ინსტრუმენტსა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პლატფორმას.

რეგიონულ განვითარებაში, ელექტრონული მართვის სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო მომსახურების ეფექტიანობის ამაღლების, რეგიონის რესურსის ათვისების, საზოგადოების კოორდინირების, გამჭვირვალობის ამაღლების, ანგარიშვალდებულების ზრდის, სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონის მდგრადი განვითარების პროცესში. თავის მხრივ რეგიონული ხელისუფლება საკვანძო როლს ასრულებს პროცესის მართვაში, მოსახლეობის ფართო ფენებთან ინტერაქტიულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობაში, ინოვაციური მექანიზმების ათვისებასა და რეალიზებაში.

რეგიონული განვითარების სტრუქტურის ბაზისია: ეკონომიკა, სტრატეგია, ხალხი, ტექნოლოგიები და რესურსები, გაერთიანება და ინტეგრირება, გარემო და მდგრადობა, სამართლიანობა და ერთსულოვნება.

ელექტრონული მთავრობის სისტემა ხელს უწყობს რეგიონის განვითარებასა და საინვესტიციო მიმზიდველობას, ამცირებს რეგიონულ უთანასწორობასა და პოლიტიკურ გავლენებს, ზრდის რეგიონული ბიზნეს გარემოს მიმზიდველობასა და რეგიონთაშორის

აქტივობებს [1].

რეგიონული ელექტრონული მთავრობა სტიმულირებს რეგიონის სეგმენტზე მორგებული ელექტრონული ინიციატივების, ინტერნეტ-პროექტების, ინტერნეტ-კომპანიების, გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების ფორმირებას[1].

რეგიონულ დონეზე ელექტრონული მთავრობის პრაქტიკული რეალიზაცია ზრდის რეგიონული პროექტების რაოდენობას, მართვის ხარისხსა და აუდიტს.

ელექტრონული მთავრობის სისტემა ხელს უწყობს რეგიონში:

1. რეგიონის ციფროვიზაციას, რეგიონის ინოვაციურ და ეკონომიკურ განვითარებას;
2. ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებასა და მართვლობით პროცესებში რეგიონის მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას, მოსახლეობის დროულ ინფორმირებას, მოსახლეობასთან შეთანხმებით ბიუჯეტის ფორმირებას, მოსახლეობის ინტერნეტ-წიგნიერების ზრდას, მიზნობრივი ჯგუფების ეკონომიკურ აქტივობას;
- 3.სამთავრობო ხარჯების ოპტიმიზაციას, მომსახურების გამჭვირვალობის ზრდას, ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივებას, ფუნქციებისა და მექანიზმების ხელსაყრელობის ზრდას [2];
- 4.მთავრობის ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონულ ეკონომიკურ საზოგადოებებში;
- 5.ბაზრების კონვერგენციას და ინტეგრაციას, უნივერსალური მომსახურების სისტემის ფორმირებას;
- 6.კიბერრისკებისა და კიბერ საფრთხეების შემცირებას[3];
- 7.რეგიონის ინოვაციური პოტენციალის ათვისებასა და ელექტრონული მომსახურების კომპონენტების ფართოდ გავრცელებას;
- 8.ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროების წარმოჩენას, ეკონომიკური აქტივობის ზრდას, ახალი ბაზრების წარმოჩენას, სიღარიბის მასშტაბების შემცირებას, ონლაინ ვაჭრობისა და ონლაინ გარიგებების გააქტიურებას.

## **II. ელექტრონული მმართველობის რეგიონული პოტენციალი**

ადიარებულია, რომ ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბაზრის პოტენციალი რეგიონის ეკონომიკის გამოცოცხლების ერთ-ერთი რესურსია, რაც მნიშვნელოვანად ზრდის მოცემული საკითხის მნიშვნელობას. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს:

მობილური კომერცია: მობილურმა ტექნოლოგიებმა გამოიწვია: მობილური მსოფლიოს ფორმირება;

1. დისტანციური მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა (საბანკო სექტორი, სახელმწიფო სექტორი, განათლება); ბიომეტრული ტექნოლოგიების განვითარება; ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა; ინოვაციური პროდუქტების ზრდა; ვაჭრობის განხორციელების სამომხმარებლო მზადყოფნის ზრდა; ელექტრონულ მართვლობით პროცესში მობილური ტექნოლოგიების როლის ზრდა. რაც უფრო პროდუქტიული და ეფექტიანია, ვიდრე ინტერნეტ-ტექნოლოგიები;

2. ეკონომიკური პოტენციალი 3,7-10,8 ტრლნ დოლარი; მობილური ინდუსტრიის შემოსავალი 1.57 ტრლნ იქნება 2017 წელს (პროგრამული პროდუქტები, აპარატული საშუალებები და სერვისი); მობილური ინდუსტრია გენერირებს მსოფლიოს მშპ-ს 3,8%-ს, დასაქმებულთა რაოდენობა 10,5 მლნ კაცი; პროგნოზით 2020 წელს მისი წილი მსოფლიოს მშპ-ში 5,1% იქნება, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 15,4 მლნ-ს მიაღწევს; გლობალური ელექტრონული კომერციის ტრანსაქციის მოცულობაში, მობილური მოწყობილობების წილი 40%-ია, განვითარებული ქვეყნების ბაზარზე – 50%; მობილური ანგარიშწორების ოპერაციების მოცულობამ 171,5 მლრდ დოლარს მიაღწია; მობილური ანგარიშსწორების რაოდენობამ 29.2 მლრდ ტრანსაქციას; პროგნოზით, 2017 წელს, მობილურის ანგარიშსწორების ოპერაციების მოცულობა 617 მლრდ დოლარს მიაღწევს; 2020 წელს, ონლაინ ფინანსური პლატფორმაზე 30 მლრდ ავტონომიურად ჩართული წერტილი იქნება (სამომხმარებლო ელექტრონიკა, ავტომობილები, ელექტრომოწყობილობები, სამედიცინო მოწყობილობები) 8,9 ტრლნ დოლარის ბრუნვით; მობილური მომსახურების ინდუსტრია რომლის განვითარება 2001 წლიდან დაიწყო, დღეს 84 ქვეყანაში 219 სერვისითაა წარმოდგენილი (2013); თანამედროვე მსოფლიოში, 590 მლნ მობილ საბანკო მომსახურების მომხმარებელია, რომელთა რაოდენობა პროგნოზით 2017 წელს 1 მლრდ-ს მიაღწევს. ბანკების მიერ ტექნოლოგიებსა და მობილ ბანკინგის განვითარებაზე გაწეული ხარჯები 118 მლრდ-ს აღწევს; 2016 წელს პლანეტის მოსახლეობის 7.2 მლრდ-დან მობილურის მომხმარებელთა რაოდენობა 3.7 მლრდ-ს შეადგენს, ხოლო აქტიური SIM ბარათების რაოდენობა 7.1 მლრდ[4]; მხოლოდ, აზიის რეგიონში, მობილურის ხელმომწერთა რაოდენობა 3,5 მლრდ კაცს შეადგენს, ხოლო

ბაზარს 200 მობილური ოპერატორი ემსახურება; ზოგადად, მობილურის ხელმომწერთა საერთო რაოდენობაში, 1,8 მლრდ კაცი, აქტიური SIM ბარათის უნიკალური ხელმომწერი<sup>[5]</sup>.

❖ სოციალური ელექტრონული კომერცია:

1. სოციალური მედიის შესაძლებლობებიდან შეიძლება გამოიყოს: მარკეტინგული კვლევები, იდეების გენერაცია, ახალი პროდუქტების შემუშავება, კლიენტების მომსახურება, კლიენტების ლოიალობის ზრდა, პროდუქტისა და ბრენდის ცნობადობის ზრდა, რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, თანამშრომლებთან კომუნიკაცია, რეპუტაციის მართვა, გართობა და თამაში, პერსონალიზებული მარკეტინგი; დემოკრატიული ჩართულობა და მონაწილეობა, კლაუდსორსინგი; სამართლებრივი ნორმების ზრდა, მოქალაქეების ჩართულობა სამართლებრივი ნორმების დაცვაში; ადამიანურ ქსელურ კომუნიკაცია და სოციალური კაპიტალის განვითარება;

2. 2017 წლის ძირითად ტენდენციებს წარმოადგენს სოციალური მედია მარკეტინგი და სოციალური კომერცია. მათ შორის უნდა აიღინიშნოს:

- Live-Streaming – (ლაივ სტრიმინგი - პირდაპირი ვიდეო ეთერი). პოპულარული პლატფორმებია Youtube, Google Hangouts, Facebook Live, Periscope. პირდაპირი ვიდეო ეთერი იდეალური შესაძლებლობაა ბიზნესში პოზიციები განიმტკიცო. ვიდეოს მეშვეობით შესაძლებელია სწრაფად და ეფექტიანად გადასცე ემოციები, ინფორმაცია, სიახლე;

- Instagram და Snapchat. სოციალური მედიის მსხვილი საიტებია Facebook (1.9 მლრდ საზოგადოება და 1.2 მლრდ ყოველდღიურად აქტიურობს, 65 მლნ მცირე ბიზნეს ორგანიზაცია Facebook-ს იყენებს მომხმარებელთან კავშირისათვის, კაპიტალიზაცია - 340 მლრდ დოლარი)<sup>[6]</sup>, Twitter (317 მლნ აქტიური მომხმარებელი, Twitter შეფასებულია 16 მლრდ დოლარად, რეკლამის შემოსავლები 545 მლნ დოლარი)<sup>[7]</sup>, LinkedIn, Instagram (600 მლნ აქტიური მომხმარებელი) და Snapchat (საბაზრო კაპიტალია 24.8 მლრდ დოლარი)<sup>[8]</sup>.

- გაყიდვები სოციალური მედიით. სოციალური მედია პლატფორმების ყიდვა-გაყიდვის ხელსაყრელი სივრცეა (მაგალითად, WeChat-ის პლატფორმით მოვაჭრე პირდა რაოდენობა გაიზარდა 31%-ით), სოციალური მედია რეკლამის ბაზრის მოცულობამ მიაღწია 31 მლრდ დოლარს (2016)<sup>[9]</sup>.

❖ ელექტრონული ჯანდაცვა:

ელექტრონული ჯანდაცვის კონცეფცია მოიცავს ჯანდაცვას, ტექნოლოგიას, კომერციას. იგი განიხილება, როგორც: მომხმარებელზე ორიენტირებული ჯანდაცვის მოდელი, სადაც დაინტერესებული მხარე თანამშრომლობისას ICT-ის გამოყენებით სარგებლობს; ინტერნეტ-ტექნოლოგიებით, ჯანდაცვის მართვის, ორგანიზების, დახმარების აღმოჩენის და სამედიცინო-სანიტარული სისტემის მხარდაჭერის სისტემა; ჯანდაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და სრულყოფის სისტემა<sup>[4]</sup>.

- ელექტრონული ჯანდაცვა მოიცავს ჯანმრთელობის საინფორმაციო ტექნოლოგიებს და ავადმყოფობის ელექტრონულ ისტორიებს; ტელემედიცინას; ჯანდაცვის პროფესიონალთა ელექტრონულ (დისტანციურ) სწავლება და გადამზადებას; მომხმარებლისათვის საინტერესო ჯანმრთელობის დაცვის შესახებ არსებულ ინფორმაციას; ჯანმრთელობის ცოდნის მართვის მეთოდოლოგიას; მობილურ ჯანდაცვას; ვირტუალური ჰოსპიტლებსა და ვირტუალურ სამედიცინო ჯგუფებს; სამეცნიერო კვლევებს.

- ელექტრონული ჯანდაცვის ეკონომიკური პოტენციალი: მომავალი თაობის გენომიკის ეკონომიკური პოტენციალი 0,7-1,6 ტრლნ დოლარი (2016). ელექტრონული ჯანდაცვის მსოფლიო ბაზრის ზრდის ტემპი შეადგენს 16%-ს, ხოლო მოცულობა - 160 მლრდ დოლარს (2015); მობილური ჯანდაცვის ბაზარი 2017 წლისთვის მიაღწევს 23 მლრდ დოლარს<sup>[10]</sup>;

❖ ელექტრონული ტურიზმი:

ტურიზმი ტექნოლოგიების საფუძველზე აგრძელებს რევოლუციურ ზრდას, სადაც ტექნოლოგიები შლის საზღვრებს ფიზიკურ და ციფრულ სფეროებს შორის, ადაპტირდება გეოპოლიტიკურ ლანდშაფტთან. პროდუქტებისა და ბიზნეს მოდელის ადაპტირებას ახდენს ეკოსისტემის ცვლილებებისა და პოტენციური გამოწვევების შესაბამისად; თითოეული ტურისტი უნიკალურია მოტივაციითა და სურვილებით, ხოლო ონლაინ ტურიზმი შესაძლებლობას იძლევა ტურისტებს მიეწოდოს ახალი და პერსონალიზირებული პროდუქტები<sup>[11]</sup>.

- ონლაინ ტურიზმის მოდელი მოიცავს შემდეგს: ინტერნეტმარკეტინგის ინსტრუმენტები, ონლაინ ტურისტული პროდუქტის/ მომსახურების წარდგენა; ინფორმირება, ტრანსაქცია, პერსონალიზაცია; მდიდარი მესიჯები, რომელიც ხელსაყრელია მიზნობრივ აუდიტორიასთან ურთიერთქმედებისათვის;

ინტერაქტიულობა; ფასწარმოქმნილ დაბალი და მოქნილი პოლიტიკა; ქვეყნის ბრენდინგი, კულტურა, ლანშაფტი, ბუნება; ტურისტული პროდუქტების რედიზაინი (გადაპროექტება) ინდივიდუალურ მოთხოვნაზე მორგებით;

-ელექტრონული ტურიზმის ეკონომიკური პოტენციალი: WEF-ის შეფასებით 2016-2025 წელს ავიაციისა და ტურიზმის ციფროვიზაციის შედეგად შექმნება 305 მლრდ დოლარის ღირებულება. ჯამში საზოგადოების სარგებელი მიაღწევს 700 მლრდ დოლარს. (დროის ეკონომიის, უსაფრთხოების ზრდის, ინფორმაციული გარემოს ფორმირებით; 2016 წლის იანვარ-სექტემბერში მსოფლიო ითვლიდა 956 მლნ ვიზიტორს (4%-იანი ზრდა), რაშიც განსაკუთრებული როლი აქვს ინტერნეტ-მარკეტინგის სისტემებს. 2016 წელს 1.24 მლრდ საერთაშორისო ვიზიტორს ითვლიან<sup>[12]</sup>. IPK International შეფასებით მოგზაურობის ბაზრის შემოსავალი 2 ტრლნ-ს აჭარბებს<sup>[13]</sup>.

❖ ელექტრონული განათლება:

წარმოადგენს საგანმანათლებლო სივრცეში იდეისა და ცოდნის ინოვაციად გარდაქმნა, ტრადიციული სწავლების პროცესის ოპტიმიზება და ინტეგრირება ინტერნეტ-სივრცეში, აგრეთვე ICT-ის გამოყენებით სასწავლო პროცესისა და ინტერაქტიული ურთიერთობის განხორციელება. წარმოადგენს უწყვეტი სწავლების საშუალებას; ადამიანური რესურსები ადვილად ახდენს ცოდნისა და ჩვევების ათვისებას; მინიმალური ბიუჯეტით ხდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება; სწრაფად და მოქნილად მიიღწევა ცოდნისა და კომპეტენციების ზრდა; ხელს უწყობს მწარმოებლობის ზრდას;

- ელექტრონული განათლების ეკონომიკური პოტენციალი: ელექტრონული განათლების მსოფლიო ბაზრის მოცულობა 46.6 მლრდ დოლარს აღწევს<sup>[14]</sup>; ელექტრონული განათლებაზე გაწეული ხარჯების ზრდა 23%-ია, ხოლო ტრადიციულ განათლებაზე გაწეული ხარჯების ზრდა 7,4%.

-ელექტრონული განათლების შემოსავლებით ლიდერობს აშშ და ჩინეთი, სამეულში აბოლოებს კანადა. ხუთეულში შედის სამხრეთ კორეა და ინდოეთი. მათ ჩამორჩება იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბრაზილია და ესპანეთი. ათეულს აბოლოებს პოლონეთი.

-ელექტრონული განათლების დიდი ბენეფიციარებია : ბიზნეს სექტორი (6.2 მლრდ), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (5.7 მლრდ) ფედერალური მთავრობა (2,5 მლრდ), ადგილობრივი მთავრობა (1.2 მლრდ), ყველაზე მცირე კი მოქალაქეები<sup>[15]</sup>.

დღეს, რეგიონის ძირითადი გამოწვევებია: სიღარიბე, უთანასწორობა, IT სპეციალისტების დეფიციტი, ინტერნეტისა და კომპიუტერის წვდომის პრობლემა. რეგიონის მოსახლეობას არ აქვს შესაძლებლობა სრულად გამოიყენოს ციფრული გარემოს პოტენციალი, აითვისოს ე-მთავრობის მომსახურების კომპონენტები, ჩაერთოს ელექტრონული ბიზნეს აქტივობაში, მონაწილეობა მიიღოს ელექტრონულ მმართველობით პროცესებში.

არათანაბრად განვითარებული რეგიონების ციფრული სივრცე: რეგიონები ერთმანეთისგან განსხვავდება სიდიდის, ვალდებულებების, ფასწარმოქმნის პოლიტიკის, ციფრული პროდუქტების ფორმირების, მომსახურების მისაწვდომობის, ინტერნეტ ხარისხის, ციფრული ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობისა და სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეღწევადობის კომპონენტებით.

მნიშვნელოვანი უთანასწორობაა ტექნოლოგიური უნარების, ციფრულ წიგნიერების, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მისაწვდომობაში, ინფორმაციულ რესურსების გამოყენებაში. ამასთან, რეგიონთაშორისი ციფრული უთანასწორობის გამომწვევ მიზეზად გვევლინება დაუბალანესებელი ციფრული პოლიტიკა, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფონი, კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის დაგვიანებული პროცესი, ელექტრონული მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამების სიმცირე, სუსტი პროპაგანდა და აგიტაცია<sup>[11]</sup>.

რეგიონის ხელისუფლება პასუხისმგებელია რეგიონის განვითარების გრძელვადიან გზაზე ინოვაციისა და ციფრული პროცესების ევოლუციაზე, სფეროების კონკურენტუნარიანობაზე, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების მიღწევაზე, არსებული რესურსებით რეგიონს განვითარებაზე<sup>[16]</sup>.

შესაბამისად, საქართველოს რეგიონების მდგრადი განვითარების პოლიტიკის ჩარჩოებში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი საკვანძო სფეროები:

- ელექტრონული მთავრობა და ელექტრონული ადმინისტრირება;
- მობილური კომერცია;
- სოციალური ელექტრონული კომერცია;
- ელექტრონული ჯანდაცვა;
- ელექტრონული ტურიზმი;
- ელექტრონული განათლება;
- მეცნიერება, ინოვაციები და კვლევები, რელევანტური და

პრეზუმციული ინფორმაციაზე დაფუძნებული ციფრული გარემო;

- ციფრული უთანასწორობის შემცირება და სოციალური ინტეგრაცია. ICT-ის ინფრასტრუქტურა, ციფრული უნარ-ჩვევები, IT სპეციალისტები, ციფრული ბაზარი;

დასკვნა

ელექტრონული მმართველობა მნიშვნელოვანი და ეფექტიანი ინსტრუმენტია, როგორც ტრადიციული ამოცანების გადაწყვეტისათვის, ისე ინსტიტუციური და სახელმწიფო მომსახურების რეფორმირების, ეფექტიანი სახელმწიფო სექტორის ჩამოყალიბების, მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე გლობალიზაციისა და ტექნოლოგიების გავლენის შემცირების მიმართულებით. ელექტრონული მმართველობა მნიშვნელოვანი სარგებლით წარმოდგება მოქალაქეების, კერძო და სახელმწიფო სექტორისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

<sup>1</sup> European Union. Committee of the Regions. Governance and ICT – innovative eGovernment actions at local and regional level CoR Studies E-1/2003, Brussels, December 2003.

<sup>2</sup> Internet Society, Role of E-Government in Regional Interconnection.

<https://www.au.int/web/sites/default/files/documents/31361-doc-25-content-development-role-of-e-government-in-regional-interconnection-en.pdf>

<sup>3</sup> Nasser S., Yared H. eGovernment: Technology for Good Governance, Development and Democracy in the MENA countries . Mediterranean Development Forum IV Amman, April 2002.

<http://www.mafhoum.com>

<sup>4</sup> Simon K.; we are social, we are social's compendium of global digital, social, and mobile data, trends, and statistics; january, 2016. <http://wearesocial.com/special-reports/digital-in-2016>

<http://www.slideshare.net/wearesocialsg/digital-in-2016?ref=http://wearesocial.com/special-reports/digital-in-2016>

<sup>5</sup> აბულაძე რ. წიგნოლაური. ელექტრონული ბიზნესი. დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2016.

<sup>6</sup> Fiegerman S., Facebook tops 1.9 billion monthly users. May 3, 2017 .

<http://money.cnn.com/2017/05/03/technology/facebook-earnings/index.html>

<sup>7</sup> Salman A., Twitter by the Numbers: Stats, Demographics & Fun Facts, January 24, 2017.

<https://www.omnicoreagency.com/twitter-statistics/>

<sup>8</sup> Snap's market cap surpasses Twitter, Hershey. 2017. <http://www.marketwatch.com/story/snaps-market-cap-has-surpassed-twitter-hershey-2017-03-02>

<sup>9</sup> <https://www.webpagefx.com/social-media/social-media-marketing-trends-2017.html>

<sup>10</sup> GSMA. PWC. Touching lives through mobile health Assessment of the global market opportunity. February 2012.

<https://www.pwc.in/assets/pdfs/publications-2012/touching-lives-through-mobile-health-february-2012.pdf>

<sup>11</sup> აბულაძე რ. საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია. მონოგრაფია. (მეორე გამომცემლობა). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015.

<sup>12</sup> <https://www.weforum.org/>

<sup>13</sup> <http://www.ipkinternational.com/>

<sup>14</sup> Docebo. Elearning market trends and forecast 2017-2021 . 2016.

<https://www.trainingpressreleases.com/media/30885/docebo-elearning-trends-report-2017-short.pdf>

<sup>15</sup> Sam S. Adkins, The 2016-2021 Worldwide Self-paced eLearning Market: The Global eLearning Market is in Steep Decline. August, 2016.

[http://www.ambientinsight.com/Resources/Documents/AmbientInsight\\_2015-2020\\_US\\_Self-paced-eLearning\\_Market\\_Abstract.pdf](http://www.ambientinsight.com/Resources/Documents/AmbientInsight_2015-2020_US_Self-paced-eLearning_Market_Abstract.pdf)

<sup>16</sup> Rodríguez-Pose, Marco di Cataldo., Alessandro Rainoldi\*\*, The Role of Government Institutions for Smart Specialisation and Regional Development Andrés European Commission, JRC-IPTS, Seville (Spain) S3 Policy Brief Series n° 04/2014 – January 2014 .

[http://s3platform.jrc.ec.europa.eu/documents/20182/114990/JRC88935\\_Role\\_GovInstitutions\\_S3\\_RegDev.pdf/282978d5-0c4d-448a-be21-62ab16fe19a2](http://s3platform.jrc.ec.europa.eu/documents/20182/114990/JRC88935_Role_GovInstitutions_S3_RegDev.pdf/282978d5-0c4d-448a-be21-62ab16fe19a2)